სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების
მანდატურის სამსახური

ბრძანება

18/03/2024

MES 4 24 0000001598

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 28 ივნისის N79 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 ივლისის N141/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 28 ივნისის N79 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. დამტკიცდეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შინაგანაწესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;".

2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 28 ივნისის N79 ბრძანებით დამტკიცებულ დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1.საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის (შემდგომ - სამსახური) შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ვრცელდება სამსახურის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულებზე (მათ შორის შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულ პირებზე).";

ბ) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. მანდატური ვალდებულია სკოლაში გამოცხადდეს მისი სამუშაო გრაფიკის/პროცესის დაწყებამდე ისეთ დროს, რომ მისი სამუშაო გრაფიკის/პროცესის დაწყებისას მოწესრიგებული და გადამოწმებული ჰქონდეს საკუთარი ეკიპირება, ვიდეომონიტორინგის სისტემის გამართულობა, მანდატურის აღჭურვილობის (რაცია, მეტალოდეტექტორი, ფანარი) რაოდენობა და გამართულობა. გამონაკლისი შემთხვევა უნდა შეთანხმდეს შესაბამის კოორდინატორთან/უშუალო ხელმძღვანელთან საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის (eflow) მეშვეობით;“;
გ) 37-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. სამსახურის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობის ღია და დახურული დერეფნები და შესასვლელი კონტროლდება ვიდეომონიტორინგის სისტემის საშუალებით, დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, ასევე საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნით.“;
დ) 38-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. სამსახურში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე მიღებული პასუხი შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში და/ან დადგენილი წესით სასამართლოში.“;
ე) მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. რეორგანიზაცია არის სამსახურის ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა, რის შედეგადაც მიიღება სამსახურის ნაწილობრივ ან მთლიანად ახალი სტრუქტურა. რეორგანიზაციად ითვლება აგრეთვე სამსახურის შტატების გადაადგილება ან/და შემცირება. რეორგანიზაციად არ ჩაითვლება სამსახურის ან მისი სტრუქტურული ერთეულის მხოლოდ დაქვემდებარების ან სახელწოდების შეცვლა ან/და სამსახურის სტრუქტურული ერთეულისათვის ახალი ფუნქციის დაკისრება, ასევე სამსახურის ვაკანტური შტატების გადაადგილება ან/და შემცირება. სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის უფროსი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრთან შეთანხმებით.“.
ვ) სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურიდან გათავისუფლებულ პირთა შემოვლის ფურცელი (დანართი N2) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით წარმოდგენილი რედაქციით:
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება გაეგზავნოს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილესა და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

სსიპ მანდატურის სამსახური
სამსახურის უფროსი
აბულაშვილი სოფიო

დანართი N2

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურიდან გათავისუფლებულ პირთა შემოვლის ფურცელი

სახელი,გვარი:_____
დაკავებული თანამდებობა:_____
გათავისუფლების თარიღი:_____
გათავისუფლების ბრძანების თარიღი და ნომერი:_____

N	პირზე რიცხული მატერიალურ ტექნიკური ფასეულობები	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული	შენიშვნა	ხელმოწერა	თარიღი
1	სამსახურებრივი ბეჭედი	ადმინისტრაციული სამმართველო			
2	სამსახურებრივი მოწმობა	ადმინისტრაციული სამმართველო			
3	ინვენტარი: ა)_____ ბ)_____ გ)_____ დ)_____ ე)_____	საფინანსო სამმართველო/მატერიალურად პასუხისმგებელი პირი			
4	აღჭურვილობა: ა)_____ ბ)_____ გ)_____ დ)_____ ე)_____	საფინანსო სამმართველო/მატერიალურად პასუხისმგებელი პირი			

5	კორპორატიული ტელეფონის ნომერი	საფინანსო სამმართველო/მატერიალურად პასუხისმგებელი პირი			

სამსახურიდან გათავისუფლებული პირი _____ _____

(ხელმოწერა)

(თარიღი)